უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №57

2018 წ. "27" 08

ქ.თბილისი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის, 25-ე მუხლის 4[1] და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 245428158) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 505-ით.
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №10 სხდომის ოქმის მე-5 ნაწილი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ცნობილი იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ.

ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი

დანართი

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
11	მშენებლობის მწარმოებელი	IV	მშენებლობის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040651	60	ქართული	15	ფიროსმანის ქ.12, ბათუმი/აჭარა, საქართველო

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	არქიტექტორ–ტექნიკოსი (1)	IV	არქიტექტორ–ტექნიკოსის მე–4 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 110153	84	114	ქართული	30	ფიროსმანის ქ.12 ბათუმი/აჭარა, საქართველო

2	ფარმაცევტის თანაშემწე (1)	IV	ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351	92	122	ქართული	50	ნინოშვილი ს/რუსთაველის 35/32, ბათუმი/აჭარა, საქართველო
3	პრაქტიკოსი ექთანი (1)	V	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	134	164	ქართული	80	ნინოშვილი ს/რუსთაველის 35/32, ბათუმი/აჭარა, საქართველო
4	ბიბლიოთეკარი (1)	IV	ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 070852	94	124	ქართული	40	ნინოშვილი ს/რუსთაველის 35/32, ბათუმი/აჭარა, საქართველო
5	ვებ ინტერფეისის დეველოპერი (1)	III	ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040165	61	76	ქართული	40	ნინოშვილი ს/რუსთაველის 35/32, ბათუმი/აჭარა, საქართველო
6	ვებ ინტერფეისის დიზაინერი (1)	III	ვებ ინტერფეისის დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040166	63	78	ქართული	40	ნინოშვილი ს/რუსთაველის 35/32, ბათუმი/აჭარა, საქართველო
7	ვებ-პროგრამისტი (1)	V	ვებპროგრამისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040167	120	150	ქართული	40	ნინოშვილი ს/რუსთაველის 35/32, ბათუმი/აჭარა, საქართველო
8	ბუღალტერ - ტექნიკოსი (1)	III	ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	62	77	ქართული	20	ნინოშვილი ს/რუსთაველის 35/32, ბათუმი/აჭარა, საქართველო

			020155					
9	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (1)	V	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 030254	111	141	ქართული	80	ნინოშვილის/რუსთაველის 35/32, ბათუმი/აჭარა, საქართველო
10	მეფუტკრე (1)	III	მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010353	76	91	ქართული	45	გრიშაშვილის 5 ა, ბათუმი/აჭარა, საქართველო
11	ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი (1)	III	ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დაიგნოსტიკოს-შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040567	64	79	ქართული	25	ფიროსმანის ქ. 12, ბათუმი/აჭარა, საქართველო

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.